



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080101574047419

№ 2887

04 / ივლისი / 2019 წ.

შპს „ბაბუ კაპიტალის“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია;

ტენდერის ნომერი: NAT180017135;

შესყიდვის ობიექტი: 45100000 – სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოები;

მიმწოდებელი: შპს „ბაბუ კაპიტალი“ (ს/ნ: 416335950);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 3 და 18 ივნისს წარმოდგენილ იქნა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 3 ივნისის №2641/07 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის №5891) და 2019 წლის 18 ივნისის № 2949/07 (რეგისტრაციის № 6507), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „ბაბუ კაპიტალის“ (ს/ნ: 416335950) მიერ NAT180017135 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2018 წლის 17 დეკემბრის № 359 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. შპს „ბაბუ კაპიტალს“ სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე kinwurashvilikaxa234@gmail.com, 2019 წლის 25 ივნისის № 2403 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე განმარტების წარმოდგენა. მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა სამუშაოები შეასრულა მხარეთა შორის შეთანხმებული პირობების შეუსაბამოდ. ამასთან, მიმწოდებელს ეთხოვა ხარვეზის აღმოფხვრა, თუმცა უშედეგოდ, მეტიც, კომპანიამ განახორციელა შესაცვლელი დგარების დემონტაჟი, სამშენებლო მოედანზე დაყარა ბეტონის სამშენებლო ნაგავი, ამოავსო ამოღებული ორმოელები, ასევე მას მოედნის შემოღობვის სამუშაოები აღარ გაუგრძელებია. შესაბამისად, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 30 მაისის №117707 ბრძანებით შეწყდა ხელშეკრულების მოქმედება.

3. მიმწოდებლის პოზიცია

მიმწოდებელს ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში განმარტება არ წარმოუდგენია.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2018 წლის 30 ოქტომბერს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიამ გამოაცხადა NAT180017135 ელექტრონული ტენდერი სპორტული მოედნებისა და დასასვენებელი ტერიტორიების მოწყობის სამუშაოების (CPV45112720) შესყიდვის მიზნით.

4.2. სატენდერო კომისიის 2018 წლის 10 დეკემბრის № 4 სხდომის ოქმით, ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ბაბუ კაპიტალი“ (ს/ნ: 416335950) და იგი მიწვეულ იქნა ხელშეკრულების გასაფორმებლად.

4.3. მხარეთა შორის 2018 წლის 17 დეკემბერს გაფორმდა № 359 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, მიმწოდებელს უნდა შეესრულებინა სპორტული მოედნის შემოღობვის სამუშაოები 2019 წლის 3 ივნისის ჩათვლით. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 37 764,06 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2020 წლის 3 დეკემბერი.

4.4. მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციის 2019 წლის 12 მარტის № 1126/07, 26 მარტის № 1513/07 და 19 აპრილის № 1954/07 წერილებით მიეცა გაფრთხილება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით. ამასთან, მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციის 2019 წლის 12 მარტის № 1126/07 წერილით ეცნობა, რომ მოწყობილი მილკვადრატები არ შეესაბამებოდა მხარეთა შორის შეთანხმებულ პირობებს და კომპანიას ეთხოვა ხსენებული ხარვეზის გამოსწორება.

4.5. საქმეში არსებული ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის 2019 წლის 21 მაისის № 1867-07 და სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის 2019 წლის 14 ივნისის № 2329-07 მოხსენებით ბარათებით დგინდება, რომ მიმწოდებელმა არ აღმოფხვრა დადგენილი ხარვეზი, არამედ კომპანიამ განახორციელა შესაცვლელი დგარების დემონტაჟი, სამშენებლო მოედანზე დაყარა ბეტონის სამშენებლო ნაგავი, ამოავსო ამოღებული ორმოვლები, ასევე მას მოედნის შემოღობვის სამუშაოები აღარ გაუგრძელებია.

4.6. ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 30 მაისის № 117707 ბრძანებით შეწყდა ხელშეკრულების მოქმედება.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „ბაბუ კაპიტალი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავედროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში დგინდება, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა მხარეთა შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამასთან, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტი არ გაფორმებულა. შესაბამისად, სააგენტო მიიჩნევს, რომ არსებობს მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტს/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების თუ შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს, მისი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის აქტივობას.

7.5. აღსანიშნავია, რომ შპს „ბაბუ კაპიტალი“ (ს/ნ: 416335950) 2018 წლის 30 ნოემბერს დარეგისტრირდა შავ სიაში NAT180006454 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2018 წლის 28 მაისის № 105 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო.

7.6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.


7.7. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველები, რადგან მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა მხარეთა შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. შესაბამისად, მოცემული დარღვევისა და მიმწოდებლის შავ სიაში მანამდე არსებული რეგისტრაციის ფაქტის გათვალისწინებით, შპს „ბაბუ კაპიტალი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

- 1. შპს „ბაბუ კაპიტალი“ (ს/ნ: 416335950) 2019 წლის 5 ივლისს დარეგისტრირდეს შავ სიაში.
- 2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
- 3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე



ლევან რაზმაძე